



IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 23/08/2016წ. - გადაწყვეტილება №6 (დანართი №5)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული ინსტრუქცია წაკითხული და მიღებულია ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების განხორციელებას.

მოამზადა: იურიდიული სამსახური _____
შეამოწმა: ხარისხის მართვის კომისია _____
დაამტკიცა: აკადემიური საბჭო _____

დოკუმენტის No: IBSU.R3G

ვერსია: 2.00

განახლების თარიღი: 06/02/2023

დამტკიცების თარიღი:

შემოწმებული ვერსია

შემოწმებული ვერსია

23/08/2016

შხსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ აღნიშნულ დოკუმენტს აქვს საბოლოო განახლების ნომერი.

ცვლილების შეტანის სურვილის შემთხვევაში, ხარისხის მართვის საბჭოს წარუდგინეთ დოკუმენტის ცვლილების მოთხოვნის ფორმა.

შინაარსი

შეტანილი ცვლილებები	4
თავი I. ზოგადი დებულებები	11
მუხლი 1. საგანი და მოქმედების სფერო	11
მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები	11
თავი II. სტუდენტის სტატუსი	16
მუხლი 3. სტუდენტის ცნება	16
მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის მოპოვება	16
მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება	18
მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა	19
მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის აღდგენა	20
თავი III. მობილობა და განათლების აღიარება	22
მუხლი 8. მობილობის უფლება	22
მუხლი 9. შიდა მობილობა	22
მუხლი 10. მობილობა	23
მუხლი 11. მობილობის პროცედურა	24
მუხლი 12. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება	26
მუხლი 13. გაცვლითი პროგრამა	27
მუხლი 14. კრედიტების აღიარება	28
თავი IV. სტუდენტის უფლება-მოვალეობები	35
მუხლი 15. სტუდენტის უფლებები	35
მუხლი 16. სტუდენტური თვითმმართველობა	38
თავი V. სასწავლო პროცესი და სწავლის შედეგების შეფასება	39
მუხლი 17. აკადემიური კალენდარი	39
მუხლი 18. საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობა	39
მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამები	40
მუხლი 20. კომპონენტის ტიპები:	40
მუხლი 21. რეგისტრაცია	40
მუხლი 22. სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათი	43
მუხლი 23. სწავლების ენა	43

მუხლი 24. საკრედიტო სისტემა	43
მუხლი 25. პრერეკვიზიტები.....	44
მუხლი 26. აკადემიური მრჩეველი.....	44
მუხლი 27. სხვა საგანმანათლებლო პროგრამიდან კომპონენტის აღება	44
მუხლი 28. კომპონენტის განმეორებით გავლა.....	45
მუხლი 29. პრაქტიკა	45
მუხლი 30. საბაკალავრო ნაშრომი	45
მუხლი 31. განმეორებითი სასწავლო კურსი	45
მუხლი 31 ¹ . ინდივიდუალური სასწავლო გეგმა	46
თავი VI. შეფასება	47
მუხლი 32. შეფასების პრინციპები:.....	47
მუხლი 33. შეფასების მეთოდი და ფორმა	47
მუხლი 34. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	48
მუხლი 35. გამოცდები.....	48
მუხლი 36. შუალედური შეფასება	49
მუხლი 37. დასკვნითი შეფასება	49
მუხლი 38. აღდგენითი შუალედური გამოცდა/აღდგენითი დასკვნითი შეფასება	49
მუხლი 39. დამატებითი გამოცდა	50
მუხლი 40. სტუდენტის მიღწევების შეფასება.....	51
მუხლი 40 ¹ . შეფასების შედეგების გასაჩივრება.....	52
მუხლი 41. GPA და CGPA.....	53
თავი VII. აკადემიური ხარისხის მინიჭება	55
მუხლი 42. აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება	55
მუხლი 43. დიპლომი და დიპლომის დანართი	55
მუხლი 44. (ამოღებულია).....	56
მუხლი 45. დასკვნითი დებულებები	56
მუხლი 46. ძალაში შესვლა.....	56
მუხლი 47. შესრულებაზე ზედამხედველობა.....	56

შეტანილი ცვლილებები

№	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის №	თარიღი
1.	აკადემიური საბჭო	4	12.01.2017
2.	აკადემიური საბჭო	9	22.08.2017
3.	აკადემიური საბჭო	16	19.12.2017
4.	აკადემიური საბჭო	21	18.01.2018
5.	აკადემიური საბჭო	6	12.03.2018
6.	აკადემიური საბჭო	10	11.06.2018
7.	აკადემიური საბჭო	11	29.06.2018
8.	აკადემიური საბჭო	15	06.09.2018
9.	აკადემიური საბჭო	24	13.12.2018
10.	აკადემიური საბჭო	2	23.01.2019
11.	აკადემიური საბჭო	3	08.02.2019
12.	აკადემიური საბჭო	4	25.02.2019
13.	აკადემიური საბჭო	5	01.04.2019
14.	აკადემიური საბჭო	8	11.06.2019
15.	აკადემიური საბჭო	12	20.08.2019
16.	აკადემიური საბჭო	23	23.12.2019
17.	აკადემიური საბჭო	2	27.01.2020
18.	აკადემიური საბჭო	4	24.02.2020
19.	აკადემიური საბჭო	17	29.09.2020
20.	აკადემიური საბჭო	18	02.10.2020
21.	აკადემიური საბჭო	21	19.11.2020

22.	აკადემიური საბჭო	1	03.02.2021
23.	აკადემიური საბჭო	16	19.07.2021
24.	აკადემიური საბჭო	18	24.09.2021
25.	მმართველი საბჭო ¹	4	06.12.2021
26.	მმართველი საბჭო	12	14.03.2022
27.	მმართველი საბჭო	13	21.03.2022
28.	მმართველო საბჭო	30	19.09.2022
29.	მმართველო საბჭო	39	26.12.2022
30.	მმართველო საბჭო	2	16.01.2023
31.	მმართველი საბჭო	3	06.02.2023

თავდაპირველი ვერსია: 23.08.2016

¹ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით 2021 წლის 01 ნოემბრიდან, მმართველ საბჭოს მიენიჭა წინამდებარე დოკუმენტის ცვლილების უფლებამოსილება.

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01	12.01.2017	2	სტილისტური შესწორება
02	22.08.2017	6	სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა
03	22.08.2017	7	სტატუსის აღდგენა
04	22.08.2017	9	სტილისტური შესწორება
05	22.08.2017	11	მობილობის პროცედურა
06	22.08.2017	12	ამოღებულ იქნა
07	22.08.2017	13	გაცვლითი პროგრამები
08	22.08.2017	14	კრედიტების აღიარება
09	22.08.2017	15	სტილისტური შესწორება
10	22.08.2017	17	სტილისტური შესწორება
11	22.08.2017	18	ამოღებულ იქნა 18.4 პუნქტი
12	22.08.2017	21	რეგისტრაცია
13	22.08.2017	28	შეფასების სისტემა
14	22.08.2017	29	ენობრივი შეცდომის შესწორება
15	22.08.2017	31	ენობრივი შეცდომის შესწორება
16	22.08.2017	31 ¹	ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
17	22.08.2017	33	შეფასების სისტემა
18	22.08.2017	36	შუალედური შეფასება
19	22.08.2017	37	შეფასების სისტემა
20	22.08.2017	39	შეფასების სისტემა
21	22.08.2017	43	დამთავრების ცნობა
22	22.08.2017	44	ამოღებულ იქნა
23	19.12.2017	11	მობილობის პროცედურა
24	18.01.2018	21	რეგისტრაცია

25	12.03.2018	4	ჩარიცხვა
26	12.03.2018	11	მობილობის პროცედურა
27	11.06.2018	36	შუალედური შეფასება
28	29.06.2018	4	სტუდენტის სტატუსის მოპოვება
29	06.09.2018	36	შუალედური შეფასება
30	13.12.2018	4	სტუდენტის სტატუსის მოპოვება
31	13.12.2018	6	სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა
32	13.12.2018	17	აკადემიური კალენდარი
33	23.01.2019	11	მობილობის პროცედურა
34	08.02.2019	7	სტუდენტის სტატუსის აღდგენა
35	08.02.2019	11	მობილობის პროცედურა
36	08.02.2019	14	კრედიტების აღიარება
37	25.02.2019	38	აღდგენითი შუალედური გამოცდა/აღდგენითი დასკვნითი შეფასება
38	01.04.2019	14	კრედიტების აღიარება
39	01.04.2019	33	შეფასების მეთოდი და ფორმა
40	01.04.2019	38	აღდგენითი შუალედური გამოცდა/აღდგენითი დასკვნითი შეფასება
41	11.06.2019	11	მობილობის პროცედურა
42	11.06.2019	14	კრედიტების აღიარება
43	20.08.2019	2	ტერმინთა განმარტებები
44	20.08.2019	4	სტუდენტის სტატუსის მოპოვება
45	20.08.2019	7	სტუდენტის სტატუსის აღდგენა
46	20.08.2019	10	მობილობა
47	20.08.2019	14	კრედიტების აღიარება
48	20.08.2019	18	საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობა
49	20.08.2019	21	რეგისტრაცია

50	20.08.2019	26	აკადემიური მრჩეველი
51	20.08.2019	35	გამოცდები
52	20.08.2019	38	აღდგენითი შუალედური გამოცდა/აღდგენითი დასკვნითი შეფასება
53	23.12.2019	11	მობილობის პროცედურა
54	27.01.2020	6	სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა
55	27.01.2020	15	სტუდენტის უფლებები
56	24.02.2020	10	მობილობა
57	29.09.2020	2	ტერმინთა განმარტება (დოქტორანტურა)
58	29.09.2020	24	საკრედიტო სისტემა (დოქტორანტურა)
59	02.10.2020	5	სტუდენტის სტატუსის შეჩერება
60	19.11.2020	7	სტუდენტის სტატუსის აღდგენა
61	19.11.2020	21	რეგისტრაცია
62	19.11.2020	34	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
63	19.11.2020	35	გამოცდები
64	03.02.2021	11	მობილობა
65	03.02.2021	47	შესრულებაზე ზედამხედველობა
66	19.07.2021	7	სტუდენტის სტატუსის აღდგენა
67	24.09.2021	5	სტუდენტის სტატუსის შეჩერება
68	06.12.2021	2	ტერმინთა განმარტებები
69	06.12.2021	5	სტუდენტის სტატუსის შეჩერება
70	06.12.2021	7	სტუდენტის სტატუსის აღდგენა
71	06.12.2021	8	მობილობის უფლება
72	06.12.2021	9	შიდა მობილობა
73	06.12.2021	17	აკადემიური კალენდარი
74	14.03.2022	40 ¹	შეფასების შედეგების გასაჩივრება
75	21.03.2022	17	აკადემიური კალენდარი

76	19.09.2022	1	საგანი და მოქმედების სფერო
77	19.09.2022	2	ტერმინთა განმარტება
78	19.09.2022	3	სტუდენტის ცნება
79	19.09.2022	4	სტუდენტის სტატუსის მოპოვება
80	19.09.2022	5	სტუდენტის სტატუსის შეჩერება
81	19.09.2022	6	სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა
82	19.09.2022	7	სტუდენტის სტატუსის აღდგენა
83	19.09.2022	8	მობილობის უფლება
84	19.09.2022	9	შიდა მობილობა
85	19.09.2022	10	მობილობა
86	19.09.2022	12	საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება
87	19.09.2022	13	საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება
88	19.09.2022	14	კრედიტების აღიარება
89	19.09.2022	15	სტუდენტის უფლებები
90	19.09.2022	16	სტუდენტური თვითმმართველობა
91	19.09.2022	17	აკადემიური კალენდარი
92	19.09.2022	21	რეგისტრაცია
93	19.09.2022	23	სწავლების ენა
94	19.09.2022	27	სხვა საგანმანათლებლო პროგრამისან კომპონენტის აღება
95	19.09.2022	31 ¹	ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
96	19.09.2022	33	შეფასების მეთოდი და ფორმა
97	19.09.2022	36	შუალედური შეფასება
98	19.09.2022	38	აღდგენითი შუალედური გამოცდა/აღდგენითი დასკვნითი შეფასება
99	19.09.2022	40	სტუდენტის მიღწევების შეფასება
100	19.09.2022	43	დიპლომი და დიპლომის დანართი

101	19.09.2022	46	ძალაში შესვლა
102	26.12.2022	2	ტერმინთა განმარტებები
103	26.12.2022	7	სტუდენტის სტატუსის აღდგენა
104	26.12.2022	11	მობილობის პროცედურა
105	26.12.2022	13	გაცვლითი პროგრამა
106	26.12.2022	14	კრედიტების აღიარება
107	26.12.2022	15	სტუდენტის უფლებები
108	26.12.2022	17	აკადემიური კალენდარი
109	26.12.2022	21	რეგისტრაცია
110	26.12.2022	26	აკადემიური მრჩეველი
	26.12.2022		სხვა საგანმანათლებლო პროგრამიდან
111		27	კომპონენტის აღება
112	26.12.2022	31 ¹	ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
113	26.12.2022	35	გამოცდები
	26.12.2022		აღდგენითი შუალედური გამოცდა/აღდგენითი
114		38	დასკვნითი შეფასება
115	26.12.2022	40 ¹	შეფასების შედეგების გასაჩივრება
116	26.12.2022	42	აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება
117	26.12.2022	43	დიპლომი და დიპლომის დანართი
118	26.12.2022	47	შესრულებაზე ზედამხედველობა
119	16.01.2023	40 ¹	შეფასების შედეგების გასაჩივრება
120	06.02.2023	21	რეგისტრაცია

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საგანი და მოქმედების სფერო

- 1.1. წინამდებარე დებულება არეგულირებს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კრედიტების აღიარების საკითხებს, სტუდენტის უფლება-მოვალეობებს, სწავლის შედეგების შეფასებასა და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს საქართველოს კანონმდებლობისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში „იბსუ“) დებულებების შესაბამისად.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი №12

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 1.2. დებულება მოიცავს იბსუ-ს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე ჩარიცხულ ყველა სტუდენტთან დაკავშირებულ საკითხებს.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

- 2.1. აკადემიური კალენდარი: ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასაწყისამდე მმართველი საბჭო ამტკიცებს აკადემიურ კალენდარს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მომავალი სასწავლო წლის სასწავლო პერიოდისა და არდადეგების შესახებ;

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 06 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №4

- 2.2. (ამოღებულია).

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი №12

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 2.3. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი): უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 2.4. მობილობა: იბსუ-ს სტუდენტების მიერ იბსუ-ს სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა (შიდა მობილობა), ან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა (ტრანსფერი/გარე მობილობა), სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან იბსუ-

ში გადმოსვლა (ტრანსფერი/გარე მობილობა);

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 2.5. აკადემიური საათი: 50 საკონტაქტო წუთი;
- 2.6. კრედიტი: ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 2.7. შუალედური გამოცდა: შუალედური შეფასების მიღების ერთ-ერთი კომპონენტი;
- 2.8. აღდგენითი შუალედური გამოცდა: გამოცდა, რომელსაც სტუდენტი აბარებს შუალედური გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, შუალედური გამოცდის გაცდენის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტისა და სკოლის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების არსებობის პირობის დაცვით;

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი №12

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 30

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

- 2.9. დასკვნითი შეფასება: შეფასების ერთ-ერთი ფორმა;
- 2.10. დასკვნითი შეფასების აღდგენითი შეფასება: შეფასება, რომელსაც სტუდენტი მიიღებს დასკვნითი შეფასების ნაცვლად, დასკვნითი შეფასების გაცდენის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტისა და სკოლის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების არსებობის პირობის დაცვით;

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი №12

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 30

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

- 2.11. დამატებითი გამოცდა: გამოცდა, რომელიც ცვლის დასკვნითი შეფასების შედეგს;
- 2.12. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამა: საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება იბსუ-სა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დადებული სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე და მიზნად ისახავს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტის მიერ კრედიტების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვებას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებაში/იბსუ-ში;

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 2.13. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი: იბსუ-ს ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომელიც გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აგროვებს კრედიტების განსაზღვრულ რაოდენობას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/იბსუ-ში;

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 2.14. პირველი საფეხური (ბაკალავრიატი): საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს;
- 2.15. მეორე საფეხური (მაგისტრატურა): სასწავლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს;
- 2.16. მესამე საფეხური (დოქტორანტურა): სასწავლო პროგრამა, რომლის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს;

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #17

- 2.17. უსდ: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- 2.18. სსს: სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა;
- 2.19. სმარტი: მუდღეუ დაფუძნებული სწავლის მენეჯმენტის სისტემა;
- 2.20. განმეორებითი სასწავლო კურსი: სასწავლო კურსი, რომელიც შეიძლება აღებულ იქნას სტუდენტის მიერ, სასწავლო კურსის ხელახლა გავლის გზით, GPA-ს გაუმჯობესების მიზნით.
- 2.21. საკონტაქტო საათი: საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;
- 2.22. დამოუკიდებელი საათი: საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;
- 2.23. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები: სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი.
- 2.24. სასწავლო კომპონენტი: საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი

ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის/საგნის, მოდულის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/პრაქტიკული სახის პროექტის/ნაშრომის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით;

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 2.25. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი: მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის, დისერტაციის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის სახით;

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 2.26. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა: დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტების სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 2.27. სწავლება-სწავლის მეთოდი: საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.).

- 2.28. შეფასების კომპონენტები: შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 2.29. (ამოღებულია);

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 2.30. შეფასების მეთოდი: საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ზეპირი/წერიტი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, პორტფოლიო, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, გამოფენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE) და სხვ);

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 2.31. შეფასების კრიტერიუმი: შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

თავი II. სტუდენტის სტატუსი

მუხლი 3. სტუდენტის ცნება

- 3.1. სტუდენტი არის პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს იბსუ-ში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

4.1. საქართველოს მოქალაქეები

- 4.1.1. განმცხადებელი ჩაირიცხება იბსუ-ს საბაკალავრო პროგრამაზე თუ მას გააჩნია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, წარმატებით აქვს ჩაბარებული ერთიანი ეროვნული გამოცდები და მოპოვებული აქვს იბსუ-ში სწავლის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 4.1.2. განმცხადებელი ჩაირიცხება იბსუ-ს სამაგისტრო პროგრამაზე თუ მას გააჩნია ბაკალავრის ან ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, წარმატებით აქვს ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდები და იბსუ-ს გამოცდა/გამოცდები.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 4.1.3. განმცხადებელი ჩაირიცხება იბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე, თუ მას გააჩნია მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმატებით აქვს ჩაბარებული იბსუ-ს გამოცდა/გამოცდები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და შესრულებული აქვს პროგრამის მოთხოვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 4.1.4. განმცხადებელი, შეიძლება ჩაირიცხოს პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. უცხო ქვეყნის მოქალაქეები

4.2.1. უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურზე უცხო ქვეყნის მოქალაქეები ირიცხებიან ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2.2. კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გარდა, ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურზე ჩარიცხვისათვის, ასევე სადოქტორო საფეხურზე ჩარიცხვისთვის განმცხადებლები ვალდებული არიან ჩააბარონ პროგრამის სწავლების ენის დონის განმსაზღვრელი გამოცდა და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მისაღები გამოცდა.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით, ოქმი №6)

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის ივნისის გადაწყვეტილებით, ოქმი №11)

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №24)

4.2.3. თუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების ჩარიცხვის პერიოდი დაემთხვევა სემესტრის მე-5 ან შემდგომ კვირებს, მათი ჩარიცხვა მოხდება მომდევნო სემესტრიდან. განსხვავებული ვადები შეიძლება განისაზღვროს რექტორის აქტით.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი №12

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

4.3. ერთიანი ეროვნული გამოცდების რანჟირების დოკუმენტით განსაზღვრულ პირებთან ფორმდება ხელშეკრულება და მათი ჩარიცხვის თაობაზე გამოიცემა რექტორის ერთიანი აქტი.

4.4. იბსუ-ს სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხი მოწესრიგებულია „სამაგისტრო სწავლების დებულებით“(R4).

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

4.5. იბსუ-ის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხი მოწესრიგებულია „სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით“(R5).

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

4.6. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე, ასევე სადოქტორო საფეხურზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების/უცხო ქვეყნის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან საერთაშორისო მობილობის წესით ჩარიცხვასთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხი მოწესრიგებულია „საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის წესით“(R03I03).

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №24)

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

5.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

- 5.1.1. ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
- 5.1.2. ფინანსური დავალიანება;
- 5.1.3. აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელიობა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა);
- 5.1.4. ფინანსური რეგისტრაციის გაუვლელიობა;
- 5.1.5. უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა);
- 5.1.6. პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
- 5.1.7. ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის არფლობა (თუ ასეთი დაზღვევის ფლობა მოთხოვნილია საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტით).

5.2 (ამოღებულია).

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 06 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №4

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 5.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.
- 5.3. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, იბსუ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაციას.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 5.4. სემესტრის მიმდინარეობისას, მე-7 კვირამდე სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, მიღებული შეფასებები უქმდება. მე-7 კვირის შემდეგ სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, მიღებული შეფასებები ნულდება, თუ სტუდენტის მიერ მიღებული ქულათა ჯამი არ აღემატება 41 ქულას.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 ოქტომბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #18.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #18.

მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

- 6.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

6.1.1. აკადემიური ხარისხის მინიჭება;

6.1.2. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

6.1.3. სულ მცირე ორ სავალდებულო სასწავლო კომპონენტში დადებითი შეფასების სამჯერ ვერ მიღება (გარდა იმ შემთხვევისა, როცა სტუდენტი ისარგებლებს შიდა მობილობის უფლებით სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც ჩაჭრილი სასწავლო კომპონენტი არ არის სავალდებულო სტატუსის მქონე კურსი);

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

6.1.4. (ამოღებულია);

6.1.5. უნივერსიტეტის დისციპლინური ნორმების დარღვევა, რომლებიც “სტუდენტთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესის“ (R7) შესაბამისად ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას;

6.1.6. ხუთი წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

6.1.7. პირადი განცხადება;

6.1.8. გარდაცვალება;

6.1.9. (ამოღებულია);

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით, ოქმი N2)

6.1.10. წინამდებარე წესის 18.3 და 18.4 პუნქტებით განსაზღვრულ ვადებში საგანმანათლებლო პროგრამის დაუსრულებლობა.

- 6.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის

სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.

- 6.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 6.4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონმდებლობით.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N24)

მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

- 7.1. სტუდენტი უფლებამოსილია აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში ან ისარგებლოს მობილობის უფლებით კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 7.2. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება რექტორის აქტით, სემესტრის მე-4 კვირამდე. სტუდენტი უფლებამოსილია სტატუსის აღდგენის თაობაზე განცხადება წარადგინოს არაუგვიანეს სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის შემდეგ, იბსუ-სთვის მიმართვის შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსი აღდგება მომდევნო სემესტრიდან (გარდა 7.5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა).

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N12

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N21

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით, ოქმი N16

- 7.3. სემესტრის მე-3 კვირის შემდეგ სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, რომელზეც სკოლის საბჭოს წარდგინების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს მმართველი საბჭო.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით, ოქმი N16

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

- 7.4. თუ სტუდენტის სტატუსის აღდგენა მოხდა სალექციო პერიოდის დაწყების შემდეგ, უნივერსიტეტი არ არის ვალდებული სტუდენტს აუნაზღაუროს გაცდენილი ლექციები ან/და შეფასების მისაღებად განხორციელებული აქტივობები.
- 7.5. ფინანსური დავალიანების გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტატუსის აღდგენა მოხდება დავალიანების დაფარვისთანავე, თუ აღნიშნული განხორციელდა სტატუსის შეჩერებიდან არაუმეტეს 10

კალენდარული დღის ვადაში.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 7.6. სტუდენტი, რომელსაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი იბსუ-ს ერთ-ერთ საგანმანათლებლო პროგრამაზე და სტატუსის შეჩერების პერიოდში ისარგებლა შიდა მობილობით იბსუ-ს სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე, მისი სტატუსი აღდგება შიდა მობილობის პერიოდში იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც გადავიდა შიდა მობილობით.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 7.7. (ამოღებულია)

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 7.8. (ამოღებულია)

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 7.9. სტუდენტური სტატუსის აღდგენის პროცედურა განსაზღვრულია R3W7-ის შესაბამისად.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

თავი III. მობილობა და განათლების აღიარება

მუხლი 8. მობილობის უფლება

8.1. სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს შიდა მობილობით (იბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებს შორის) და მობილობით (სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის უფლებით) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

8.2. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

8.3. მობილობისა და შიდა მობილობის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდებით 2020 წელს და შემდგომ ჩარიცხულ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე-8 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები. ერთიანი ეროვნული გამოცდებით 2020 წელს და შემდგომ ჩარიცხული სტუდენტების მობილობის განხორციელების თავისებურებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

8.4. მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო-პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N4

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

8.5. (ამოღებულია)

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N4

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

მუხლი 9. შიდა მობილობა

9.1. შიდა მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, აკადემიური

სემესტრის დაწყებამდე.

- 9.2. შიდა მობილობის უფლება აქვს იბსუ-ს ნებისმიერ სტუდენტს, რომელიც იბსუ-ში სულ მცირე ერთი სემესტრის განმავლობაში სარგებლობდა სტუდენტის აქტიური სტატუსით, მათ შორის მათ, რომელთა სტატუსი შეჩერებულია შიდა მობილობის ვაკანტურ ადგილებზე რეგისტრაციის მომენტისათვის.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 9.3. (ამოღებულია).

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 9.4. (ამოღებულია).

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 9.5. (ამოღებულია).

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 9.6. (ამოღებულია)

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 9.7. შიდა მობილობის პროცედურა განისაზღვრება R3W4-ით.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

მუხლი 10. მობილობა

- 10.1. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

- 10.2. სტუდენტმა, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვა იბსუ-ში მობილობით ჩარიცხვის უფლება, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ უნდა მიმართოს უნივერსიტეტს და წარმოადგინოს იბსუ-ს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია. განცხადებას, როგორც წესი, თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 10.2.1. დოკუმენტ(ებ)ის ასლი/ასლები რომელიც არეგულირებს სტუდენტურ სტატუსს(მაგ. ჩარიცხვის/აღდგენის/სტატუსის შეჩერების/სტატუსის შეწყვეტის აქტი);

- 10.2.2. უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით

დამოწმებული ნიშნების ფურცელი (სასწავლო კომპონენტების კრედიტების რაოდენობისა და შეფასების მითითებით);

10.2.3. პირის საიდენტიფიკაციო ბარათის (ID) ასლი;

10.2.4. (ამოღებულია);

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N12

10.2.5. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და/ან უმაღლესი განათლების წინა საფეხურის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

10.2.6. ორი ფოტოსურათი (3X4), (ნაბეჭდი და ელექტრონულ მატარებელზე);

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N12

10.2.7. მამრობითი სქესის სტუდენტებისათვის: სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

10.2.7¹. მობილობის წესით სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე ჩარიცხვის შემთხვევაში, კანდიდატის მიერ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პერიოდში არანაკლებ ხუთწლიანი პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული დიპლომის წარმოდგენის შემთხვევაში, კანდიდატმა ასევე უნდა წარმოადგინოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული აღიარების დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დიპლომის შესაბამის საფეხურთან გათანაბრება.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით, ოქმი N4

10.3. სტუდენტი დამატებით ადგენს განცხადებას, რითაც ადასტურებს რომ ეთანხმება შედარების აქტში მოცემულ ინფორმაციას და მის სურვილს რომ სწავლა გააგრძელოს იბსუ-ში.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

10.4. (ამოღებულია)

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

მუხლი 11. მობილობის პროცედურა

11.1. მობილობის წესით გადმოსული სტუდენტის კრედიტების აღიარების პროცედურა განსაზღვრულია R3W3-ით და R3W4-ით.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 თებერვლის №3 ოქმით

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 3 თებერვლის №3 ოქმით

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

11.2. შიდა მობილობის შემთხვევაში სკოლის საბჭო უფლებამოსილია დააკმაყოფილოს ან უარი განაცხადოს მობილობის მსურველი სტუდენტის განცხადების დაკმაყოფილებაზე წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით (სტუდენტის აკადემიური მოსწრება, გასაუბრების შედეგები და/ან პროგრამის სხვა მოთხოვნები მხედველობაში მიიღება იბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე კონკურსის არსებობის შემთხვევაში).

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

11.2¹ ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამიდან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის/შიდა მობილობის უფლებით სარგებლობისას, სტუდენტი ვალდებულია დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონე.

ამ მიზნით შესაბამისი დონეებია:

ა) ბაკალავრიატის პირველ სემესტრში ჩარიცხვის მიზნით, სტუდენტს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის გამოცდაში მიღებული უნდა ჰქონდეს სულ მცირე ქულათა ის რაოდენობა, რაც განსაზღვრულია მიმღები საგანმანათლებლო პროგრამისათვის შესაბამის სასწავლო წელს;

ბ) ბაკალავრიატის მეორე სემესტრში ჩარიცხულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნის B1 დონე;

გ) ბაკალავრიატის მე-3-მე-6 სემესტრებში ჩარიცხულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნის B2 დონე;

გ) სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტმა უნდა დაადასტუროს უნდა აკმაყოფილებდეს ინგლისური ენის ცოდნის B2 დონე;

დ) სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხულმა სტუდენტმა პროგრამაზე დაშვების წინაპირობიდან გამომდინარე უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნის B2/C1 დონე.

ამ მიზნით, სტუდენტმა უნდა:

ა) წარმოადგინოს ინგლისური ენის საერთაშორისო სერტიფიკატი;

ბ) ჩააბაროს იბსუ-ს მიერ დანიშნული ინგლისური ენის გამოცდა;

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

გ) წარმოადგინოს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ მან გაიარა გაიარა სასწავლო კომპონენტი ინგლისურ ენაზე, რომლის სწავლის შედეგები გადის B1/B2/C1 დონეზე. სამაგისტრო საფეხურზე გადმოსვლის შემთხვევაში, სასწავლო კომპონენტი გავლილი უნდა იყოს სამაგისტრო დონეზე, ხოლო სადოქტორო საფეხურზე გადმოსვლისას - სადოქტორო დონეზე;

დ) წარმოადგინოს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ მას ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვს დამთავრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მისი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან).

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით, ოქმი N2)

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N23)

11.2² (ამოღებულია).

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით, ოქმი N6)

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით, ოქმი N8)

11.2³ (ამოღებულია).

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N16)

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N23)

11.3. სტუდენტისთვის კრედიტების აღიარება მოხდება ამ წესის მე-14 მუხლის მიხედვით.

11.4. (ამოღებულია).

(ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N°30)

(ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N°30)

11.5. მობილობასთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხი წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

მუხლი 12. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება

12.1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, სტუდენტისათვის უზრუნველყოფილია სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა შეცვლილი პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით. კერძოდ:

12.1.1. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებ(ებ)ის შეტანის დროს,

პროგრამის ხელმძღვანელი ამზადებს დასკვნას, რომელშიც ეთითება ის დამატებული სავალდებულო კომპონენტ(ებ)ი, რომლ(ებ)ის გავლის ვალდებულებაც აქვს სტუდენტს, ცვლილებ(ებ)ის მიზანი, აგრეთვე ცვლილებ(ებ)ის ამოქმედების თარიღი/პერიოდი და შესაბამისი პირთა წრე;

12.1.2. სტუდენტი ვალდებულია დაძლიოს პროგრამაში დამატებული სავალდებულო კომპონენტ(ებ)ი, თუ ამ კომპონენტ(ებ)ის დამატება გამოწვეულია შესაბამისი დარგის სიახლით ან განპირობებულია იმ აუცილებლობით, რომ მიღწეული იქნეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები;

12.1.3. სტუდენტის მიერ შეცვლილი პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარება ხდება მე-14 მუხლით დადგენილი წესით.

12.2. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს შიდა მობილობის ან მობილობის უფლებით.

12.3. (ამოღებულია)

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

მუხლი 13. გაცვლითი პროგრამა

13.1. იბსუ ვალდებულია უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან მიიღოს წერილობითი ინფორმაცია აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარების შესახებ.

(ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N°30)

13.2. უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი, რომელსაც სტუდენტის სტატუსი მოპოვებული აქვს უცხო ქვეყანაში აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, იბსუ-ში სწავლას აგრძელებს უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე, იბსუ-ს რექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე.

(ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N°30)

13.3. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში იბსუ-დან უცხოეთში წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე

სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება არ ხდება.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 13.4. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უცხო ქვეყნიდან ჩამოსული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი იბსუ-ს არ ეთვლება მისთვის დადგენილ სტუდენტთა საერთო რაოდენობაში.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 13.5. იბსუ-ს სტუდენტს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ, შესაბამის პროცედურულ საკითხებზე დახმარებას უწევს სკოლა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

- 13.6. გაცვლით პროგრამის ორგანიზებისა და წარმართვის პროცედურული საკითხები განსაზღვრულია R3W5 და R3W6-ით.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

მუხლი 14. კრედიტების აღიარება

- 14.1. იბსუ აღიარებს კრედიტებს რომელიც მოპოვებულია მობილობის, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის გზით, ასევე სტუდენტის სტატუსის აღდგენისას იბსუს-ს დებულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 14.2. სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის (სტატუსის აღდგენის შემთხვევაში იმავე/სხვა საგანმანათლებლო პროგრამა) ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარება ხორციელდება სტუდენტის მიერ გავლილი და სასურველი (პროგრამა რომელზეც სტუდენტმა მოიპოვა/აღიდგინა სტუდენტის სტატუსი) საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედარების საფუძველზე (სტუდენტის მიერ გავლილი კომპონენტის სილაბუსის შინაარსის ანალიზზე დაყრდნობით).

- 14.3. კრედიტების აღიარების მიზნებისათვის დგინდება იბსუ-ს მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამასთან სტუდენტის მიერ მობილობის/ გაცვლითი პროგრამის/ სტატუსის აღდგენის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა და მიიღება გადაწყვეტილება შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

14.4. კრედიტების აღიარების მიზნებისათვის იბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სტუდენტის მიერ გავლილი კომპონენტები, რომლებიც სტუდენტს უღიარდება (კომპონენტისათვის მინიჭებული კრედიტისა და მიღებული შეფასების აღნიშვნით), სემესტრი, რომელშიც სტუდენტმა უნდა გაგრძელოს სწავლა და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში).

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

14.5. სტუდენტის მიერ ნასწავლ კომპონენტებსა და პროგრამის იმ კომპონენტებს შორის, რომელზეც სტუდენტს სურს ჩარიცხვა, შესაძლებელია კონცეპტუალური თავსებადობის დამყარება მიუხედავად კომპონენტების სახელწოდებების განსხვავებისა.

14.6. დასაშვებია თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში იმ კრედიტების აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული იბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

14.7. იბსუ უფლებამოსილია აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დამლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის. კრედიტების აღიარება ხორციელდება წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი წესით.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

14.8. იბსუ უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

14.9. კრედიტების აღიარება ფორმდება სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით. სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებაში მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა იბსუ-ს დაწესებულების პროგრამასთან სტუდენტის მიერ იმავე/სხვა პროგრამის ფარგლებში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა იბსუ-ს პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 თებერვლის №3 ოქმით.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

პროცედურა:

14.10. კრედიტების აღიარების ზოგად ადმინისტრირებას ახდენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

14.11. კრედიტების აღიარება ხორციელდება შემდეგი წესების შესაბამისად:

14.11.1. სასწავლო კურსები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული იბსუ-ს თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამით, შეიძლება ჩათვლილი იქნეს როგორც თავისუფალი კომპონენტები (თუ პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს თავისუფალი კომპონენტების არსებობას).

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

14.11.2. კრედიტის რაოდენობის დათვლისას (გარდა თავისუფალი კრედიტებისა), აღიარება ხდება შემდეგი წესით:

14.11.2.1. თუ ასაღიარებელი კომპონენტის სწავლის შედეგები შესაბამისია იბსუ-ს თავსებადი პროგრამით განსაზღვრული კომპონენტის სწავლის შედეგებისა და კრედიტი მეტია, მაშინ კომპონენტი აღიარდება იბსუ-ს სასწავლო კურსის სახელწოდებით და იბსუ-ს შესაბამისი კრედიტის რაოდენობით;

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

14.11.2.2. იმ ასაღიარებელი კომპონენტის კრედიტი უფრო მცირეა, ვიდრე იბსუ-ს თავსებადი კომპონენტის კრედიტი, გადაწყვეტილება მიიღება შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენის გზით. თუ არსებობს მისაღები თავსებადობა გავლილი კომპონენტის შინაარსსა და სწავლის შედეგებისა და იბსუ-ს შესაბამისი კომპონენტის შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის, სასწავლო კურსი აღიარდება იბსუ-ს თავსებადი კომპონენტის სახელწოდებით და შესაბამისი კრედიტით. თუ არ არის მისაღები თავსებადობა გავლილი კომპონენტის შინაარსსა და სწავლის შედეგებისა და იბსუ-ს შესაბამისი კომპონენტის შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის, კომპონენტი აღიარდება გამომშვები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელებითა და კრედიტი ჩაითვლება თავისუფალი კრედიტების ფარგლებში.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N12

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

14.11.3. პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში კრედიტების აღიარება ხორციელდება შემდეგი წესით:

14.11.3.1. თუ კომპონენტი არ არის გათვალისწინებული იბსუ-ში მოქმედი არც ერთი საგანმანათლებლო პროგრამით, აღიარება ხორციელდება იმ რაოდენობით, რა რაოდენობაც მიანიჭა გამომშვებმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ;

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

14.11.3.2. თუ კომპონენტი გათვალისწინებულია იბსუ-ში მოქმედი რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამით, აღიარება ხორციელდება:

ა) იბსუ-ს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, თუ ასაღიარებელი კომპონენტის კრედიტების რაოდენობა აღემატება იბსუ-ს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობას;

ბ) აღიარება ხორციელდება იმ რაოდენობით, რა რაოდენობაც მიანიჭა გამომშვებმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, თუ ასაღიარებელი კომპონენტის კრედიტების რაოდენობა უფრო მცირეა, ვიდრე იბსუ-ს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N12

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

14.11.4. თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეფასების სისტემისათვის იყენებდა საკრედიტო სისტემისაგან განსხვავებულ სისტემას, სტუდენტი ვალდებულია იბსუ-ს წარუდგინოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ოფიციალური დოკუმენტი, საკრედიტო სისტემასთან მისი სისტემის ეკვივალენტობის შესახებ.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

14.11.5. თუ სტუდენტი ვერ წარმოადგენს 14.11.4 პუნქტში მითითებულ დოკუმენტს, მისი შეფასების საკრედიტო სისტემაში გადაყვანა მოხდება იბსუ-ს შესატყვისი შეფასების წესის მიხედვით:

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

ა) 5 ქულიანი შეფასების შემთხვევაში, გადაყვანა ხდება შემდეგი წესის გამოყენებით:

№	შეფასება	იბსუ-ს შესატყვისი შეფასება
1	„5“ - („ფრიადი“)	„100“ - („A“)
2	“4” - („კარგი“)	“90“- („B“)
3	“3” - („დამაკმაყოფილებელი“)	“70“ - („D“)
4	“2” - („არადამაკმაყოფილებელი“)	“50” - („F“)

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

ბ) საკრედიტო სისტემის შესაბამისად მოცემული შეფასების (სადაც არ არის მითითებული ქულობრივი შეფასება და მოცემულია მხოლოდ „A” – “FX” შეფასება) გადაყვანა ხდება შემდეგი წესის გამოყენებით:

№	შეფასება	იბსუ-ს შესატყვისი შეფასება
1	“A”	“100“ - („A“)
2	“B”	“90“- („B“)
3	“C”	“80“- („C“)
4	“D”	“70“ - („D“)
5	“E”	“60” - („E“)
6	“F”/ “FX”	“50” - („F“)

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

გ) 10 ქულიანი შეფასების გადაყვანა ხდება შემდეგი წესის გამოყენებით:

№	შეფასება	იბსუ-ს შესატყვისი შეფასება
1	10	A - 100
2	9	A - 91
3	8	B - 90
4	7	C - 80
5	6	D - 70
6	5	E - 60
7	4	FX - 50
8	3	F - 40
9	2	F - 30
10	1	F - 20

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილებით, ოქმი N5

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით, ოქმი N8

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

14.11.6. აშშ-ს კრედიტის იბსუ-ს საკრედიტო სისტემაში კონვერტირების

მიზნით, მინიჭებული კრედიტი მრავლდება ორზე.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

14.11.7. წინამდებარე დებულების 14.11.5 და 14.11.6 პუნქტებისაგან განსხვავებული შეფასების სისტემის კონვერტაცია ხდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით.

14.11.8. უცხოეთში სწავლის პერიოდში (სამეცნიერო ნაშრომის დასრულებამდე) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული კვლევითი კომპონენტის აღიარება ხდება შემდეგი წესების მიხედვით:

14.11.8.1. თუ კვლევითი კომპონენტი შეფასებულია/ მინიჭებული აქვს კრედიტი უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, მისი აღიარება ხდება წინამდებარე წესის 14.11.1-14.11.6 პუნქტებით დადგენილი წესით.

14.11.8.2. თუ კვლევითი კომპონენტი არ არის შეფასებული/არ აქვს მინიჭებული კრედიტი, მისი შეფასება/ კრედიტის მინიჭება განხორციელდება იბსუ-ს თავსებადი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით/შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

14.12. კრედიტებს აღიარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

თავი IV. სტუდენტის უფლება-მოვალეობები

მუხლი 15. სტუდენტის უფლებები

15.1. სტუდენტი უფლებამოსილია:

- 15.1.1. მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი უმაღლესი განათლება;
- 15.1.2. მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში;
- 15.1.3. უნივერსიტეტის დებულებებით დადგენილი წესების შესაბამისად თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- 15.1.4. საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი ან თავად იქნეს არჩეული სტუდენტურ თვითმმართველობაში, სკოლისა და უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებში უნივერსიტეტის დებულებებით დადგენილი წესის შესაბამისად;

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

- 15.1.5. თავისუფლად დააფუძნოს და/ან გაწევრიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციაში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- 15.1.6. უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად მიიღოს ფინანსური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
- 15.1.7. თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი და უარი თქვას იმი იდეათა გაზიარებაზე, რომლებსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესში;
- 15.1.8. სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობითა და მიმღები დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით. აკრედიტირებულ პროგრამაზე გადასვლისას გადაიტანოს სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 15.1.9. ერთი აქტიური სემესტრის შემდეგ ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით იბსუ-ს წესებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 15.1.10. აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა, მონაწილეობა მიიღოს

პროგრამის შემუშავებასა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში;

- 15.1.11. პერიოდულად მიიღოს მონაწილეობა აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით;
- 15.1.12. ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მოახდინოს შეკრების ორგანიზება, რომელზეც დაცული იქნება საქართველოს კანონმდებლობა და უნივერსიტეტის დებულებები. სტუდენტთა შეკრება არ უნდა არღვევდეს უნივერსიტეტის წესრიგს და საგანმანათლებლო პროცესის მსვლელობას, კანონმდებლობას, უნივერსიტეტის წესებს;
- 15.1.13. შემდეგი თანმიმდევრობით განიხილოს მისთვის საინტერესო საკითხი:
 - 15.1.13.1. სასწავლო პროცესის ადმინისტრატორთან;
 - 15.1.13.2. პროგრამის ხელმძღვანელთან;
 - 15.1.13.3. სკოლის დეკანთან.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №39

- 15.1.14. საგანმანათლებლო საკითხებზე წამოჭრილ პრობლემებზე წერილობით მიმართოს დეკანს, ხოლო სწავლის საფასურსა და სხვა ფინანსურ საკითხებზე - კანცლერს.
- 15.1.15. მიიღოს სამართლიანი და ობიექტური შეფასება;
- 15.1.16. ლექტორთან ერთად, განიხილოს საგამოცდო ნამუშევარი და მიიღოს უკუკავშირი, აგრეთვე სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაში ნიშნების შეტანის შემდეგ, გაასაჩივროს საგამოცდო ნამუშევარი;
- 15.1.17. განახორციელოს იბსუ-ს დებულებებით, მასთან დადებული ხელშეკრულებითა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებები.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 15.2. უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი შეფასება, რისთვისაც ნერგავს შესაბამის პროცედურებს.
- 15.3. სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ

უკანასკნელისთვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.

15.4. დაუშვებელია უნივერსიტეტის მატერიალური და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, სტუდენტის აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და/ან ცენზურის დაწესების მიზნით.

15.5. (ამოღებულია).

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით, ოქმი N2)

15.6. კურიკულუმის გარეშე აქტივობების განხორციელების მიზნით, იბსუ ქმნის სამეცნიერო, სპორტის, კულტურული და სხვა სახის შემოქმედებითი-გასართობ ცენტრებს.

(ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N30)

15.7. სტუდენტი ვალდებულია:

15.7.1. ისწავლოს და განვითარდეს ინტელექტუალურად იმ შესაძლებლობის გამოყენებით, რომელსაც მას სთავაზობს უნივერსიტეტი პირადი ზრდის, განვითარებისა და წარმატებისათვის;

15.7.2. დაეუფლოს მის მიერ არჩეულ და სავალდებულო კომპონენტებს საგანმანათლებლო პროგრამისა და უნივერსიტეტის დებულებების მოთხოვნების შესაბამისად;

15.7.3. დაიცვას უნივერსიტეტის წესები. მათი არცოდნა არ წარმოადგენს სტუდენტის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს. ყველა სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს უნივერსიტეტის დებულებებს.

(ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N30)

15.7.4. დაიცვას სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ორმხრივი შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებები;

15.7.5. გაუფრთხილდეს და დაიცვას უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონება.

15.7.6. იმოქმედოს გარემოს დაცვითი, ეკოლოგიური, სანიტარული, სახანძრო უსაფრთხოებისა და სხვა ზოგადი წესების შესაბამისად.

- 15.8. უნივერსიტეტს და სტუდენტს შორის არსებული ორმხრივი ვალდებულებები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებებით, სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებითა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

მუხლი 16. სტუდენტური თვითმმართველობა

- 16.1. შპს - “შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ სტუდენტური თვითმმართველობა არის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში „იბსუ“) სტუდენტების მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით არჩეული, უნივერსიტეტის შემადგენლობაში შექმნილი სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო.

(ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N30)

- 16.2. სტუდენტური თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება „სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით“ (R08).

თავი V. სასწავლო პროცესი და სწავლის შედეგების შეფასება

მუხლი 17. აკადემიური კალენდარი

17.1. აკადემიური წელი შედგება შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებისაგან და არდადეგებისაგან.

17.2. აკადემიური წელი მოიცავს მაქსიმუმ 12 თვეს უწყვეტად.

17.3. კომპონენტების ცხრილი, შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებისთვის, განისაზღვრება მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებული აკადემიური კალენდრის მიხედვით.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 06 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N4

17.4. ზოგიერთი კომპონენტი შეიძლება გაიხსნას ზაფხულში/ზამთარში (ზაფხულის/ზამთრის სემესტრი). ზაფხულის/ზამთრის სემესტრის საჭიროება და განრიგი განსაზღვრება სკოლის მიერ.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N24)

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით, ოქმი N13

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

17.5. ზაფხულის/ზამთრის სემესტრის გახსნის საჭიროება შეიძლება გამომდინარეობდეს სასწავლო კომპონენტ(ებ)ში ჩაჭრილი სტუდენტების, გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისა და/ან ისეთი სტუდენტების საჭიროებით, რომელთაც იმყოფებიან დამატებით სემესტრებში.

17.6. ზაფხულის/ზამთრის სემესტრის განმავლობაში, სტუდენტი უფლებამოსილია დარეგისტრირდეს არაუმეტეს 10 კრედიტის ოდენობის სასწავლო კომპონენტებზე წლიური 75 კრედიტის ლიმიტის ფარგლებში.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

17.7. ზაფხულის/ზამთრის სემესტრის განმავლობაში, სასწავლო კომპონენტის ფინანსური საკითხები განისაზღვრება „საგანმანათლებლო მომსახურების საფასურის გადახდის წესით“ (R09).

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით, ოქმი N13

მუხლი 18. საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობა

18.1. საგანმანათლებლო პროცესი საბაკალავრო საფეხურზე ჩვეულებრივ მოიცავს 8 სემესტრს, სამაგისტრო საფეხურზე 4 სემესტრს, ხოლო

სადოქტორო საფეხურზე 6 სემესტრს.

- 18.2. სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა არის პროგრამაზე ჩარიცხვისა (მინიჭებული/ადიარებული კრედიტების რაოდენობის გათვალისწინებით) და პროგრამის დასრულებას (სასწავლო გეგმის შესაბამისად) შორის პერიოდი.
- 18.3. თუ სტუდენტს არ შეუძლია სასწავლო პროგრამის დასრულება შესაბამისი საფეხურისთვის განსაზღვრულ ვადებში, მას აქვს შესაძლებლობა გააგრძელოს სასწავლო პროცესი თვითდაფინანსების საფუძველზე და შეინარჩუნოს სტუდენტის აქტიური სტატუსი საბაკალავრო პროგრამაზე, დამატებით რვა სემესტრის განმავლობაში, სამაგისტრო პროგრამაზე, დამატებით ოთხი სემესტრის და სადოქტორო პროგრამაზე, დამატებით ექვსი სემესტრის განმავლობაში.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N12)

- 18.4. (ამოღებულია)
- 18.5. სწავლის საფასური დამატებით სემესტრისათვის წარმოადგენს შესაბამისი წლის პირველკურსელი სტუდენტის მიერ გადასახდელი სწავლის საფასურის ოდენობას, სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამები

- 19.1. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების ჩამონათვალი და კრედიტების რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო კურსების ხელმძღვანელის მიერ და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, რომელიც მტკიცდება „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქციით“(R036I02G).

მუხლი 20. კომპონენტის ტიპები:

- 20.1. უნივერსიტეტში არის ორი ტიპის კომპონენტი:
- 20.1.1. სავალდებულო;
- 20.1.2. არჩევითი.

მუხლი 21. რეგისტრაცია

- 21.1. აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ პერიოდში რეგისტრაციის პროცესის ადმინისტრირებას ახდენს სკოლის და/ან სასწავლო პროცესის

მართვის სამსახური. რეგისტრაციის პროცესი მოიცავს აკადემიურ რეგისტრაციას (კომპონენტებზე დარეგისტრირება) და ფინანსურ რეგისტრაციას - უნივერსიტეტის დებულებებისა და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების (შეთანხმების) შესაბამისად სწავლის საფასურის დაფარვას.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N12

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N21

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 06 თებერვლის გადაწყვეტილებით, ოქმი № 3

- 21.2. კომპონენტებზე დარეგისტრირების მიზნით, რეგისტრაციის პერიოდში სტუდენტებს ეხსნებათ წვდომა მონაცემთა ბაზაზე. კომპონენტზე რეგისტრაციის პროცესი სრულდება სტუდენტის მიერ რეგისტრაციის დადასტურებით (რეგისტრაციის კვირა).

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით, ოქმი N1)

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 06 თებერვლის გადაწყვეტილებით, ოქმი № 3

- 21.3. სალექციო პროცესის დაწყებამდე სტუდენტს შეუძლია დაამატოს, შეცვალოს ან წაშალოს არჩეული კომპონენტი იბსუ-ს დებულების შესაბამისად (სათადარიგო კვირა).

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N12

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 06 თებერვლის გადაწყვეტილებით, ოქმი № 3

- 21.4. თუ სტუდენტმა ვერ გაიარა აკადემიური რეგისტრაცია რეგისტრაციის კვირაში, ის უფლებამოსილია აკადემიური რეგისტრაცია გაიაროს სათადარიგო კვირაში.

- 21.5. საპატიო მიზეზის არსებობისას, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რეგისტრაციის გავლა აგრეთვე შესაძლებელია სათადარიგო კვირის დასრულებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N12

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

- 21.6. აკადემიური და ფინანსური რეგისტრაცია შესაძლებელია განხორციელდეს 21.2-21.5 პუნქტებისაგან განსხვავებულ ვადებში თუ სტუდენტის სტატუსის აღდგენა მოხდა სემესტრის დაწყების შემდეგ, წინამდებარე წესის მე-7 მუხლის შესაბამისად.

- 21.7. არჩევითი კომპონენტის გახსნისათვის საჭიროა სულ მცირე 10 სტუდენტის

დარეგისტრირება. გამონაკლისი შესაძლებელია დადგინდეს სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით. სხვა შემთხვევაში სტუდენტს პროგრამის ფარგლებში შესთავაზებენ კომპონენტს პრერეკვიზიტის სისტემისა და წლიური საკრედიტო დატვირთვის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N12

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N30

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N39

- 21.8. დამატებითი სპეციალობის (მაინორის) ფარგლებში, თუ საჭიროა დამატებითი ჯგუფის გახსნა, საჭიროა სულ მცირე 10 სტუდენტის დარეგისტრირება. გამონაკლისი შესაძლებელია დადგინდეს დამატებითი სპეციალობის (მაინორის) განმახორციელებელი სკოლის საბჭოს წარდგინებით, მმართველი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N30

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N39

- 21.9. თუ სტუდენტი არ დარეგისტრირდება 21.2 – 21.6 პუნქტების შესაბამისად, სტუდენტის სტატუსი შეჩერდება.

- 21.9¹ სტუდენტის მიერ სემესტრში ასაღები კრედიტების საშუალო რაოდენობა არის 30.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N30

- 21.9² რეგულარულ სემესტრში (საბაკალავრო საფეხურზე 4 წელი, სამაგისტრო საფეხურზე - 2 წელი, სადოქტორო საფეხურზე - 3 წელი) სტუდენტს უფლება აქვს აიღოს 30 კრედიტზე ნაკლები, თუ აღნიშნული განპირობებულია საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებით და/ან სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებებით. სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროება დგინდება სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N30

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N39

- 21.9³ დამატებითი სემესტრის სტუდენტი ვალდებულია, 30 კრედიტის ფარგლებში დარეგისტრირდეს კომპონენტების სულ მცირე ნახევარი, რომელიც იხსნება შესაბამის სემესტრში, კომპონენტებით განსაზღვრული დამზების წინაპირობების გათვალისწინებით.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N30

- 21.10. სტუდენტს უფლება აქვს აიღოს სემესტრში 30 კრედიტზე მეტი (წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტი), მაგრამ არაუმეტეს 45 კრედიტისა, თუ აღნიშნული:

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 21.10.1. განპირობებულია საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებით.
- 21.10.2. განპირობებულია სტუდენტის ინდივიდუალური პროგრამის თავისებურებით:
 - ა) გაცვლით პროგრამებში მონაწილეობით;
 - ბ) მობილობით/შიდა მობილობის წესით გადმოსვლით;
 - გ) კომპონენტში ჩაჭრით;
 - დ) სტუდენტის სურვილით სემესტრის განმავლობაში აიღოს დამატებითი კომპონენტი(ები);
 - ე) (ამოღებულია);
 - ვ) სკოლის საბჭოს მიერ სხვა ობიექტურ საფუძველად მიჩნეული გარემოებით.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N12

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

მუხლი 22. სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათი

- 22.1. უნივერსიტეტი სტუდენტებს უზრუნველყოფს საიდენტიფიკაციო ბარათით, რომელიც ახდენს სტუდენტის იდენტიფიცირებას შხსუ-სთან.

მუხლი 23. სწავლების ენა

- 23.1. სწავლების ენა იბსუ-ში არის ინგლისური და ქართული.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

მუხლი 24. საკრედიტო სისტემა

- 24.1. აკადემიური პროგრამები შემუშავებულია ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის მოთხოვნების შესაბამისად.
- 24.2. სტუდენტის საშუალო წლიური დატვირთვა არის 60 კრედიტი - 1500 საათი (1 კრედიტი არის 25 საათი და მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს). სტუდენტის სემესტრული დატვირთვა არის 30 კრედიტი. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები.

დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

- 24.3. საგანმანათლებლო პროგრამები საბაკალავრო საფეხურზე მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს, სამაგისტრო საფეხურზე არანაკლებ - 120 კრედიტს და სადოქტორო საფეხურზე - არაუმეტეს 60 კრედიტს სასწავლო კომპონენტს და მისი ჯამური ხანგრძლივობა არის არანაკლებ 3 წელი.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N17
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N30*

მუხლი 25. პრერეკვიზიტები

- 25.1. სტუდენტი რომელიც ჩაიჭრა პრერეკვიზიტ კომპონენტში, ვერ დარეგისტრირდება მის მომდევნო კომპონენტზე.

მუხლი 26. აკადემიური მრჩეველი

- 26.1. სტუდენტისათვის კომპონენტზე დარეგისტრირებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე კონსულტაციისა და დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი პირი არის სკოლის/თეზისებისა და დისერტაციების სამსახურის მიერ განსაზღვრული პირი.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N12

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N39

მუხლი 27. სხვა საგანმანათლებლო პროგრამიდან კომპონენტის აღება

- 27.1. სავალდებულო კომპონენტზე დარეგისტრირება სტუდენტის პრიორიტეტს წარმოადგენს. ამასთან, სტუდენტი უფლებამოსილია სხვა საგანმანათლებლო პროგრამიდან აირჩიოს კომპონენტი პრერეკვიზიტების მოთხოვნების, სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის, კრედიტების ლიმიტისა და თავისუფალი კრედიტის ფარგლების გათვალისწინებით. სკოლის წარმომადგენლებმა და/ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა სტუდენტს უნდა გაუწიოს შესაბამისი კონსულტაცია სხვა საგანმანათლებლო პროგრამიდან კომპონენტის არჩევასთან დაკავშირებით.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N30

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N39

მუხლი 28. კომპონენტის განმეორებით გავლა

- 28.1. თუ სტუდენტი ვერ გადალახავს შუალედური შეფასებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, იგი არ არის უფლებამოსილი მიიღოს დასკვნითი შეფასება. შესაბამისად, მან თავიდან უნდა გაიაროს კომპონენტი. თუ სტუდენტის ჯამური ქულა (შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამი) არის 41 ქულაზე ნაკლები, ან მან ვერ გადალახა დასკვნითი შეფასებისათვის/დამატებითი გამოცდისათვის დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სტუდენტმა თავიდან უნდა შეისწავლოს კომპონენტი.
- 28.2. თუ ჩაჭრილი კომპონენტი არის სავალდებულო, სტუდენტმა თავიდან უნდა გაიაროს აღნიშნული კომპონენტი. თუ ჩაჭრილი კომპონენტი არის არჩევითი - სტუდენტი უფლებამოსილია მის ნაცვლად აიღოს სხვა არჩევითი კომპონენტი, თუ საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

მუხლი 29. პრაქტიკა

- 29.1. პრაქტიკა ხორციელდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებისა და „პრაქტიკის ინსტრუქციის“ (R03I07) შესაბამისად.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

მუხლი 30. საბაკალავრო ნაშრომი

- 30.1. საბაკალავრო ნაშრომის მომზადება ხორციელდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებისა და „საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციის“ (R03I13) შესაბამისად.

მუხლი 31. განმეორებითი სასწავლო კურსი

- 31.1. GPA-ს გაუმჯობესების მიზნით, უფლებამოსილია გაიუმჯობესოს მიღებული დადებითი შეფასება არაუმეტეს სამი სასწავლო კურსის განმეორებით გავლის გზით.
- 31.2. აღნიშნულ სასწავლო კურსზე დარეგისტრირების მიზნით, სტუდენტს უკვე მინიჭებული უნდა ჰქონდეს კრედიტი შესაბამის სასწავლო კომპონენტში, რომლის გავლასაც აპირებს ხელმეორედ.
- 31.3. განმეორებითი სასწავლო კურსის აღებასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებები, დამატებითი სასწავლო კომპონენტის აღებისას წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების მსგავსია.

- 31.4. განმეორებით სასწავლო კურსზე დარეგისტრირება ხორციელდება რეგისტრაციის კვირაში, სასწავლო კომპონენტზე რეგისტრაციისათვის დადგენილი წესების დაცვით.
- 31.5. განმეორებით სასწავლო კურსში მიღებული შეფასება ცვლის წინა სასწავლო კურსში მიღებულ შეფასებას.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

მუხლი 31¹. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

- 31¹.1 ინდივიდუალური სასწავლო გეგმით იბსუ უზრუნველყოფს სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზებას, ასევე სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფას.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

- 31¹.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის საბჭო, სტუდენტის და/ან შესაბამისი კომპონენტის განმახორციელებელი პირის მოთხოვნის საფუძველზე.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

- 31¹.3. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი, საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

თავი VI. შეფასება

მუხლი 32. შეფასების პრინციპები:

- 32.1. გამჭვირვალობა – ინფორმაცია შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებზე ხელმისაწვდომი ყველასათვის. სტუდენტს სემესტრის დასაწყისშივე ეცნობება როდის და რა კრიტერიუმებით შეფასდება მისი ცოდნა;
- 32.2. სისტემატიურობა - შეფასება არ არის ერთჯერადი აქტი, ის პროცესია, რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს მუდმივ მზადყოფნას გამოავლინოს საკუთარი ცოდნა და უნარი, ხოლო სასწავლო კურსის ხელმძღვანელს - განახორციელოს მონიტორინგი სტუდენტის ცოდნის შექმნისა და განვითარების პროცესზე;
- 32.3. სამართლიანობა - სტუდენტის ცოდნის შეფასებისადმი ერთიანი სტანდარტებით ხდება მიდგომა.

მუხლი 33. შეფასების მეთოდი და ფორმა

- 33.1 შეფასების მაქსიმალური ქულა არის 100.
- 33.2 საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე, კრედიტის მისანიჭებლად მინიმალური ქულა არის 51. აღნიშნული ქულა შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამისაგან. ამასთან სტუდენტს გადალახული უნდა ჰქონდეს შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები.
- 33.3 სასწავლო კომპონენტების შუალედური/დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს შესაბამისი შეფასების მაქსიმალური ქულის 20%-ზე ნაკლები. სამაგისტრო ნაშრომის და დისერტაციის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია შესაბამისი შეფასების მაქსიმალური ქულის არანაკლებ 51%. ამასთან, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.
- 33.4 კონკრეტული საგანმანათლებლო კომპონენტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დგინდება კომპონენტის ხელმძღვანელის მიერ საგანმანათლებლო კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- 33.5 თითოეული კომპონენტისათვის შეფასების კომპონენტები, მეთოდი და კრიტერიუმი ასახულია შესაბამის სილაბუსში და ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის სემესტრის დასაწყისში. სილაბუსი ატვირთულია

სმარტზე.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილებით, ოქმი N5

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

მუხლი 34. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

34.1. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პასუხისმგებელია:

34.1.1. წერით გამოცდის ჩატარებასა და ორგანიზებაზე;

34.1.2. ზეპირი გამოცდის ტექნიკური ნაწილის ორგანიზებაზე (გარდა საგამოცდო კომისიის ფორმირების ნაწილისა).

34.2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან დაკავშირებული ყველა საკითხი მოწესრიგებულია „გამოცდების ჩატარების წესით“ (R3.I1).

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N21

მუხლი 35. გამოცდები

35.1. შუალედური, დასკვნითი, აღდგენითი და დამატებითი გამოცდები შესაძლებელია ჩატარდეს წერილობითი, ზეპირი ან შერეული ფორმით.

35.2. ზეპირი გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს ლექტორის ან ლექტორის სურვილით კომისიის მიერ.

35.3. კომისიის ჩართულობით ზეპირი გამოცდა ტარდება შემდეგი წესით:

35.3.1. კომისია იქმნება სკოლის საბჭოს მიერ სამი წევრისაგან. კომისიაში უნდა შედიოდნენ შესაბამისი სასწავლო კურსის ლექტორი და იმავე/მომიჯნავე დარგის სპეციალისტები, რომლებიც ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უძღვებიან სალექციო კურსებს;

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N12

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

35.3.2. ზეპირი გამოცდა ტარდება შესაბამისი სასწავლო კურსის განხორციელების ენაზე;

35.3.3. კომისიის წევრები სტუდენტის შეფასებას ახდენენ ინდივიდუალურად, სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემული შესაბამისი გამოცდის შეფასების რუბრიკის მიხედვით;

35.3.4. დასკვნითი შეფასება აისახება ოქმში.

35.4. ზეპირი გამოცდების შედეგების „სისზე“ ასახვის, დაკავშირებული საკითხების გასაჩივრებისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში

შედეგების წარდგენის საკითხები მოწესრიგებულია „გამოცდების ჩატარების წესით“ (R3IIG).

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N21

მუხლი 36. შუალედური შეფასება

36.1. შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა განისაზღვრება კომპონენტის სილაბუსით.

36.2. კომპონენტის შუალედური შეფასების არანაკლებ 6 ქულა უნდა ეთმობოდეს აქტიურობის/სასწავლო პროცესში ჩართულობის შეფასებას. შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნიდან გამომდინარე, ლექტორი თავისუფალია შუალედური შეფასების ფორმატის განსაზღვრაში.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

36.3. სემესტრის განმავლობაში დაშვებულია მხოლოდ ერთი შუალედური გამოცდა. შუალედურ გამოცდებს ეთმობათ სემესტრის მე-8 კვირა, ხოლო საბაკალავრო საფეხურზე მე-8 და მე-9 კვირები.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით, ოქმი N10)

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 06 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N14)

36.4. დასკვნითი შეფასების მიღებისთვის, სტუდენტს გადალახული უნდა ჰქონდეს შუალედური შეფასებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

მუხლი 37. დასკვნითი შეფასება

37.1. დასკვნითი შეფასება ხორციელდება სემესტრის ბოლოს.

37.2. დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულა განისაზღვრება კომპონენტის სილაბუსით.

37.3. საბოლოო შეფასების მიზნებისათვის (კრედიტის მინიჭებისათვის) დასკვნითი შეფასების მიღება სავალდებულოა და მიღებულად ითვლება, თუ სტუდენტმა გადალახა დასკვნითი შეფასებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

მუხლი 38. აღდგენითი შუალედური გამოცდა/აღდგენითი დასკვნითი შეფასება

38.1. შუალედური გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს აღდგენით გამოცდაზე სემესტრის მე-11 კვირას.

- 38.2. დასკვნითი შეფასების გაცდენის შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს ალდგენით დასკვნით შეფასებაზე აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ პერიოდში.
- 38.3. სტუდენტი ვალდებულია გამოცდ(ებ)ის გაცდენის საპატიო მიზეზი დაადასტუროს, სკოლის საბჭოსთვის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტების წარდგენის გზით:
- ა) ცნობა იმის თაობაზე, რომ გადიოდა გეგმიურ/გადაუდებელ ჰოსპიტალიზაციას;
 - ბ) კომპონენტის გამოცდა ემთხვევა სხვა კომპონენტის გამოცდის დროს;
 - გ) ცნობა სავალდებულო სამხედრო სამსახურში მსახურების თაობაზე;
 - დ) ცნობა საქმიანი მივლინების შესახებ, რომელიც ორგანიზებულია იბსუ-ს ან სახელმწიფო სტრუქტურების მიერ;
 - ე) ოჯახის წევრის გარდაცვალების ცნობა.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით, ოქმი N4

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილებით, ოქმი N5

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N12

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

- 38.4. გამოცდის გაცდენის საპატიო მიზეზად ასევე ჩაითვლება ისეთი გარემოება, რომლის არსებობის პირობებშიც სტუდენტის მიერ გამოცდის დაწერა ობიექტურად შეუძლებელი იყო.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილებით, ოქმი N5

- 38.5. წინამდებარე წესის 38.3 და 38.4 პუნქტებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სკოლის საბჭო.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილებით, ოქმი N5

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N12

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

- 38.6. ალდგენით გამოცდას არ აქვს ალდგენითი გამოცდა.

მუხლი 39. დამატებითი გამოცდა

- 39.1. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს სტუდენტს თუ:

- ა) სტუდენტის ჯამური სემესტრული ქულა (შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამი) არის 41-50 ქულა;

ბ) სტუდენტის ჯამური სემესტრული ქულა (შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამი) არის არანაკლებ 51 და მან ვერ გადალახა დასკვნითი შეფასებისთვის დაწესებული მინიმალური ზღვარი.

- 39.2. დამატებითი გამოცდა ტარდება შესაბამისი დასკვნითი (დასკვნითი აღდგენითი) გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 კალენდარული დღისა. ეს წესი არ ვრცელდება დისერტაციაზე, სამაგისტრო პროექტზე/ნაშრომზე და სხვა სამეცნიერო პროექტზე/ნაშრომზე.
- 39.3. თითოეულ კომპონენტს აქვს მხოლოდ ერთი დამატებითი გამოცდა.
- 39.4. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულა ცვლის დასკვნით შეფასებაზე მიღებულ ქულას.
- 39.5. დამატებითი გამოცდის მიმართ მოქმედებს 37.3 პუნქტით განსაზღვრული წესი.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

მუხლი 40. სტუდენტის მიღწევების შეფასება

40.1. საკრედიტო სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი –91-100 ქულა.
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი –81-90 ქულა.
- ა.გ) (C) კარგი –71-80 ქულა.
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი –61-70 ქულა.
- ა.ე) (E) საკმარისი –51-60 ქულა.

(ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30)

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა –41-50 ქულა, რაც ნიშნავს რომ. სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30)

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა –40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

40.2. საბოლოო შეფასების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების დაჯამების საფუძველზე.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

მუხლი 40¹. შეფასების შედეგების გასაჩივრება

40¹.1. სტუდენტი უფლებამოსილია შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებები, ასევე კვლევითი კომპონენტის შეფასება შედეგის გაცნობიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გასაჩივროს შესაბამისი სკოლისათვის განცხადებით (R03F99) მიმართვის გზით.

40¹.2. გასაჩივრებამდე, სტუდენტმა უკუკავშირი უნდა მიიღოს ლექტორისაგან/ნაშრომის ხელმძღვანელისგან.

40¹.3. სტუდენტმა განცხადებაში უნდა მიუთითოს კონკრეტული საჭიროება და წარმოადგინოს შესაბამისი არგუმენტაცია.

40¹.4. განცხადებით სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს:

40¹.4.1 კომპონენტის/დაცვის რეგლამენტის გადახედვა ხელახალი შეფასების გარეშე;

40¹.4.2 კომპონენტის ხელახალი შეფასება.

40¹.5. საჩივრის განხილვის წესი კომპონენტის/დაცვის რეგლამენტის გადახედვის მოთხოვნის შემთხვევაში:

40¹.5.1 კომპონენტის/დაცვის რეგლამენტის გადახედვის მოთხოვნის შემთხვევაში, სკოლის საბჭო უფლებამოსილია სტუდენტის საჩივარში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, მიიღოს გადაწყვეტილება კომპონენტის/დაცვის რეგლამენტის გადახედვა მოხდეს შემფასებლის ან 40¹.6 პუნქტის მიხედვით შექმნილი სააპელაციო კომისიის მიერ.

40¹.5.2 შემფასებლის/სააპელაციო კომისიის მიერ ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, კომპონენტი უბრუნდება სკოლის საბჭოს დასკვნასთან ერთად.

40¹.5.3 სკოლის საბჭო შემფასებლის/სააპელაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე უფლებამოსილია იმსჯელოს თავდაპირველი შემფასებლ(ებ)ის მიერ ნაშრომის ხელახალი შეფასების, შეფასების უცვლელად დატოვების, გამოცდის/დაცვის ხელმეორედ ჩატარების შესახებ.

40¹.6. კომპონენტის ხელახალი შეფასების მოთხოვნის შემთხვევაში, სკოლის საბჭო ემნის სააპელაციო კომისიას, რომელიც შედგება სულ მცირე 3 (სამი) წევრისაგან. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. კომისიის წევრი არ უნდა იყოს თავდაპირველი შემფასებელი, ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი, ოპონენტი, ან დაცვის კომისიის წევრი.

40¹.7. საჩივრის განხილვის ზოგადი წესები:

40¹. 7.1 შემფასებელს/კომისიას ეძლევა 5 (ხუთი) სამუშაო დღე შეფასების განხორციელებისათვის, კომისიური წესით მიღებული შეფასების გასაჩივრების შემთხვევაში - 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე.

40¹. 7.2 შეფასების პროცესში შემფასებელი/კომისია ვალდებულია გაეცნოს პირველადი შემფასებლის დასაბუთებას. შემფასებელს/კომისიას უფლება აქვს შეფასება დატოვოს ძალაში ან შეცვალოს (გაზარდოს ან შეამციროს). გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

40¹.7.3 შემფასებლის/კომისიის დასკვნას სკოლა 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში აცნობს დაინტერესებულ მხარეებს.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით, ოქმი N12

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 2

მუხლი 41. GPA და CGPA

41.1. კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ქულის - CGPA-ს გამოთვლა ხდება შემდეგი წესის მიხედვით:

41.1.1. სასწავლო კურსში მიღებული მიღებული ქულა მრავლდება ამ კურსის კრედიტის რაოდენობაზე - GP (grade point).

41.1.2. სემესტრის განმავლობაში მიღებული GP-ების ჯამი იყოფა სემესტრის განმავლობაში დაგროვებული კრედიტების საერთო რაოდენობაზე - GPA (grade point average).

41.1.3. სემესტრების განმავლობაში მიღებული GP-ების ჯამი იყოფა

სტუდენტის მიერ დაგროვებული კრედიტების საერთო რაოდენობაზე - CGPA (Cumulative grade point average).

- 41.1.4. თუ სტუდენტმა საგანი თავიდან გაიარა, CGPA-ის დათვლის მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება ბოლო GP.
- 41.1.5. ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად მიღებული ციფრის გადაყვანა ხდება CGPA1.36-4.00 ნიშნულიან ციფრულ მაჩვენებელში (R3L7) მოცემული ცხრილის შესაბამისად.

თავი VII. აკადემიური ხარისხის მინიჭება

მუხლი 42. აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება

- 42.1. უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდეგ, პირს ენიჭება აკადემიური ხარისხი.
- 42.2. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე, აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება შესაბამისი სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
- 42.3. სადოქტორო პროგრამაზე, აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

მუხლი 43. დიპლომი და დიპლომის დანართი

- 43.1. უნივერსიტეტის დიპლომს მიიღებს სტუდენტი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოთხოვნა.
- 43.2. იბსუ-ის მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხი დასტურდება დიპლომითა და დიპლომის დანართით, რომლებიც ხელმოწერილია უნივერსიტეტის რექტორისა და შესაბამისი სკოლის დეკანის მიერ და დამოწმებულია უნივერსიტეტის ბეჭდით.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №30

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი № 39

- 43.3. დიპლომი „წარჩინებით“ ეძლევა საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს, რომლის დამრგვალებული საშუალო ქულა არის 86 და მეტი, და სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, რომლის დამრგვალებული საშუალო ქულა არის 91 და მეტი.
- 43.4. დიპლომის დაკარგვის ან გამოყენებისათვის უვარგისად გახდომის შემთხვევაში, კურსდამთავრებულის მოთხოვნის საფუძველზე გაცემა დუბლიკატი.
- 43.5. კურსდამთავრებული უფლებამოსილია მიიღოს დიპლომი, მხოლოდ შემოვლის ფურცლის (R3F3) შევსების შემდეგ, რაც ადასტურებს რომ სტუდენტს არ აქვს დავალიანება უნივერსიტეტის წინაშე.
- 43.6. საგანმანათლებლო საფეხურის დაუსრულებლობის შემთხვევაში,

სტუდენტი იღებს შესაბამის ცნობას და ნიშნების ფურცელს.

- 43.7. სტუდენტი, რომელმაც დაასრულა საგანმანათლებლო საფეხური, დიპლომის მიღებამდე უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი ცნობა.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

მუხლი 44. (ამოღებულია)

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქმი N9)

მუხლი 45. დასკვნითი დებულებები

- 45.1. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული ყველა საკითხი მოწესრიგებულია „სამაგისტრო სწავლების დებულებით“ (R4) და „სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით“ (R5).
- 45.2. საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სხვა დებულებებით.
- 45.3. წინამდებარე დებულებაში შესული ნებისმიერი სახის ცვლილება და დამატება მტკიცდება მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2021 წლის 06 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N4

- 45.4. წინამდებარე წესში მოცემული ვადების დათვლისათვის:

ა) ვადის გამოთვლა იწყება იმ კალენდარული თარიღის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი;

ბ) თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

მუხლი 46. ძალაში შესვლა

- 46.1. დებულება ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი N30

მუხლი 47. შესრულებაზე ზედამხედველობა

- 47.1. წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით.

(ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 03 თებერვლის გადაწყვეტილებით, ოქმი N1)

უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს იბსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.

იბსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

გამოსცა:

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131

თბილისი, საქართველო

www.ibsu.edu.ge

contact@ibsu.edu.ge

